როგორ გავიხედოთ ტელესკოპში და დავაკვირდეთ ობიექტს ?

•აუცილებელია ტელესკოპი იყოს სწორად აწყობილი.

•შემდეგ დარწმუნდით, რომ სტარპოინტერი და ტელესკოპი გასწორებულია ერთმანეთზე და უყურებენ ერთ წერტილს.

•შემდეგ დახედეთ ფოკუსის მარეგულირებელ მილს და დარწმუნდით რომ ბოლომდე არის შეწეული ტელესკოპში.

•შემდეგ ვიხედებით ცაზე და ვპოულობთ მთვარეს. პირველი მთვარე იმიტომ,რომ შეუიარაღებელი თავლითაც მარტივად ჩანს ღამის ცაზე და პირველი ასტრო ტურისთვის მარტივი მოსაძებნი იქნება.

•შემდეგ ვრთავთ სტარპოინტერზე წითელ წერტილოვან ლაზერს ან ვუმიზნებთ X შუა წერტილს და ტელესკოპზე დამაგრებული მიმართულების სახელურის დახმარებით წითელი ლაზერი ან X წერტილი მიგვყვავს მთვარის შუა გულში.

•შემდეგ თვალს დავადებთ ლინზას და დავიწყებთ ფოკუსის მარეგულირებლით ფოკუსის რეგულირებას და ამის შემდეგ უკვე გამოჩნდება ობიექტი ლინზაში.